.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ქართული ფილმი - უძრავი ქონება"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 201945262
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მურმან ჯავახიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01020001612

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4709813
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 16.10.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ბრძანება

1. გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, სანდრო ახმეტელის ქუჩა #10ა/ლუბლიანას ქუჩა #1-ში, შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონება“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.13.02.010.083) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის 16/10/2019წ. №4709813 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 29 ოქტომბრიდან 2020 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით.

4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:

4.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;

4.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;

4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამავე დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;

4.4. კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.

5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

6. ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

7. მშენებლობის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე– ნარგაობა, ხის–მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

8. თუ საპროექტო ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა მოიჭრება სხვა სახეობის ხემცენარე, მოქალაქის მიმართ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით